



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030161089877017

№ 01-177/თ

08 / აგვისტო / 2017 წ.

„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N22 დანართის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა) მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე - 5 მუხლის მე - 2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა უზრუნველყოფის პროცესის მოწესრიგების მიზნით, დამტკიცდეს თანდართული, გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის (ტიპი II), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესაბამისი დიაგნოზების ჩამონათვალი (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD10) მიხედვით) და ამ დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების მინიმალური და მაქსიმალური სარეკომენდაციო დღიური დოზები(დანართი N1).

2. მედიკამენტების გაცემა ბენეფიციარებზე განხორციელდეს ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი პირობების მკაცრად დაცვით.

3. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების

დაცვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) უფლება აქვს საკითხი განიხილოს ინდივიდუალურ რეჟიმში დარგის ექსპერტების ჩართულობით.

4. დაევალოს სააგენტოს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):

ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;

ა.ბ) უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, ბრძანების გაცნობა და საჭიროების


შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა;

ა.გ) ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ი. ტაბატაძე), უზრუნველყოს ბრძანებით დადგენილი პირობების ასახვა „ქრონიკული დაავადებების მედიკამენტების პორტალზე“, ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგენკო